№ 29

სამშაბათი 5 თებერვალი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 29

სამშაბათი 5 თებერვალი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგზავნელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

56

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 თებერვლიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს **ცხრა მანეთი და ათი შაური** (9 მ. და 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверіа"**. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

გლ. სარ. ალექსი მესხიშვილის
საბენეფისოდ

ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით

I

უპატიოსნონი

დრამა 3 მოქმედ. როვეტტისა, თარ. ნ. გალუსტოვისა.

II

კრეჩინსკის კორწილი

კომედია 3 მოქმედ. სუხოვო-კობილინისა თარ. ღულაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი, ბატონნი: ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები ჩვეულებრივია

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება: „მეფე ლირი", „ორი გმირი", „ძალა აღმართს ხნავს"

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9–12 საათამდე და საღამოთი 5–7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.

ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე

სწამლობს შინაგანს და საბავშო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-დე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ელექტრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოთი:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

ვ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. ბ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

ბ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

ჭიათურის შავი-ქვა და სინდიკატი.

II

ახლად დაარსებულ სინდიკატს აზრად აქვს შეაერთოს ყველა შავის-ქვის მწარმოებელი საბოლოო აზრის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ საქმეში და აქაც უნდა ვიცოდეთ უთუოდ, თუ რას ან ვის უნდა ემსახურებოდეს ის სინდიკატი,—მწარმოებელს, შავის-ქვის ადგილობრივ მოვაჭრეს, თუ ექსპორტერს,—უნდა ასწიოს მოგება მწარმოებლისა, ადგილობრივი მოვაჭრისა თუ ექსპორტერისა, უნდა გაჰხადოს ექსპორტერებად მწარმოებლები და სინდიკატში ხელმოწერილი შავი-ქვის ადგილობრივი მოვაჭრენი—თუ საზოგადოდ უნდა მხოლოდ ამ ეხლანდელ კრიზისის დროს გაუწიოს და ხმარება ჭიათურის მცხოვრებლებს, და ეცადოს ასწიოს შავის-ქვის დაცემული ფასები.

ჩვენ გვგონია, რომ ამ სინდიკატის ნამდვილი დანიშნულებაა,—შესცვალოს ძირიანად შავი-ქვის საქმეში დამყარებული წესები, და დღეს-დღეობით ადგილობრივ ბაზრის ვიწრო ფარგალში ჩაყენებული შავის-ქვის მწარმოებელი დაუახლოვოს მსოფლიო ბაზარს, რომ მოსპოს ამნაირად ექსპორტერებისა და ადგილობრივ მოვაჭრეების ბატონობა შავისქვის მწარმოებლებზედ.

სინდიკატმა უნდა შეაერთოს ყველა მწარმოებელი შავის-ქვის გაყიდვის საქმეში მსოფლიო ბაზარზედ.

სწორედ ამიტომ სინდიკატის წევრობა უნდა შეეძლოს მხოლოდ შავის-ქვის მწარმოებელს, ე. ი. იმას, ვისაც საკუთარი ან იჯარით აღებული მიწა აქვს საწარმოებლად; სინდიკატის წევრებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი საბუთები და ამ საბუთების მიხედვით და მიწების ადგილობრივ დათვალიერებით უნდა გამოიანგარიშოს სინდიკატმა, ვის და რამდენი ქვა ჰქონია თავის ადგილებიდგან ამოსაღები. ამ რაოდენობაზედ უნდა ააშენოს სინდიკატმა თავისი მოქმედება და წევრთა ურთიერთობაც, რომ არ ასცილდეს თავისს დანიშნულებას და მართლაც მწარმოებელთა შემაერთებელი ძალა შეიქმნეს.

მაგრამ რაკი ჭიათურის ყველა მწარმოებელი არ არის ჯერ-ჯერობით სინდიკატში ხელმოწერილი და სინდიკატის გარეშე დარჩენილ მწარმოებლების ქვამ შეიძლება გაუწიოს ქიშპობა სინდიკატის ქვას მსოფლიო ბაზარზედ, ამიტომ სინდიკატმა ან თვითონ უნდა იყიდოს მათგან ქვა, ან უნდა შეითანხმოს დანარჩენი ექსპორტერები, რომ ქვის გაყიდვა საზღვარ-გარედ საერთო იყოს. ასეთი შეთანხმება აუცილებელია და სასარგებლო, როგორც სინდიკატისათვის, ისე თვით ექსპორტერებისთვისაც, ვინაიდგან შემჩნეულია, რომ მსოფლიო ბაზარზედ მწარმოებელთა სინდიკატები ექსპორტერებთან შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებულნი რჩებიან.

ექსპორტერების არსებობა თავისს თავად მწარმოებლებისათვის მავნებელი არ არის;—მავნებელია მხოლოდ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ექსპორტერებს დაჭერილი ჰყავთ ხელში ადგილობრივი წარმოებლები, როდესაც მწარმოებელი იძულებულია მიუტანოს ქვა ექსპორტერს ყოველ იმ ფასში, რა ფასსაც იგი ინებებს, რადგანაც თვითონ ქვის საზღვარ გარედ გატანა არ შეუძლიან და სხვა მყიდველი—ექსპორტერებს და მათთან პირშეკრულ ადგილობრივ ვაჭართა გარდა, არავინ არის.

სწორედ ასეთია ახლა მწარმოებლების მდგომარეობა ჭიათურაში და ამიტომ სინდიკატის დაარსება აქ საჭიროდ უნდა მივაჩნდეს.

ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებლებს უწინაც უცდიათ რამდენჯერმე ერთმანერთში შეამხანაგება ამავე აზრით, მაგრამ, საუბედუროდ, ყოველთვის ზარალი უნახავთ,—ამიტომ ახლაც უფრთხიან სინდიკატს.

შავის-ქვის საქმე ექსპორტერებს საზარალოდ რომ არ რჩებათ, თუ ნამეტან მოგების სურვილმა არ გაიტაცა და არ დააკარგვინა სავაჭრო ზომიერება, ეს ყველამ იცის. ამიტომ საამხანაგოდ შავის-ქვა გაყიდვასაც მსოფლიო ბაზარზედ ზარალი არ უნდა მოჰყვეს, საქმე თუ რიგიან საფუძველზედ იქმნა აგებული და სინდიკატის წევრთა წარმავალ კერძო სარგებლობის გულისთვის თუ არ უღალატეს საერთო საქმეს.

სწორედ ამ მხრივ არის ყოველივე საერთო საქმის დაწყება საშიში ჩვენში. საუბედუროდ, ხშირია, რომ დღევანდელ მოგების გულისათვის ადამიანი მომავალს მოგებაზედ ხელს იღებს და ამის გამო საბოლოოდ გაჭირვებაში ვარდება. ამიტომ ხშირად დიდი საქმის დაწყება შეუძლებელია, მით უფრო რომ საერთო საქმეში უთუოდ არის ყოველთვის ინტერესების სხვა და სხვაობაც და საერთო სურვილის მისაღწევად-კი, საერთოდ ფულის მოსაგებად ერთმანეთში შეთანხმებაა საჭირო.

ამნაირი შეთანხმება ახლად დაარსებულ სინდიკატში ძნელი გვგონია,—ინტერესების სხვა და სხვაობამ ეხლავე იჩინა თავი, ბერლინიდგან გამოგზავნილ 200,000 მანეთის მოხმარების საქმეში.

ზოგიერთი,—უფრო ფრთხილი და საქმეში ჩახედული მწარმოებელი, რომელსაც აზრად აქვს ამ სინდიკატის გაძლიერება, რომ სამერმისოდ ამით ისარგებლონ სინდიკატის წევრებმა—შავი-ქვის მწარმოებლებმა, ამბობს, რომ ეს ფული უნდა მოჰხმარდეს მიწების იჯარით აღებას, ეხლანდელ იაფ ფასად ქვის ყიდვას, ე. ი. პირ და პირ შავის-ქვის საქმესაო.

მაგრამ სხვები ასე არ უყურებენ ამ საქმეს და თხოულობენ ეს ფული ეხლავე სესხად, „ავანსად" დაურიგდეს სინდიკატის წევრთ;—როგორ მოვიხმართ ამ ფულს, ეს ჩვენი საქმე არისო. ზოგიერთი ამათგანი ჰფიქრობს აღებულის ფულით დაამზადოს ქვა ამხანაგის სახელზედ, რომელიც სინდიკატში ჩაწერილი არა ჰყავს, და მისისავე სახელით გაჰყიდოს ჭიათურაში, ე. ი. სინდიკატის ფულით უნდა გაუთხაროს ძირი თვით სინდიკატსავე. ავიწყდებათ კი, რომ მათგან ხელ-მოწერილს ქაღალდში სწერია ჯარიმა თუ თავიანთ მამულში სხვა ვინმე ამუშავებს, თუნდ ძმა და ამხანაგიც იყოს.

სხვილი მწარმოებლები ამ ფულის დარიგებაში უფრო თავ-დაჭერით იქცევიან, წვრილები-კი ჩქარობენ და უნდათ დროით ჩაიგდონ ხელში ის ფული, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ: ყველამ იცის, რომ ამ სინდიკატში ბევრი რიგიანი და შეძლებული, წარმოებაში გართული და სანდოა, მაგრამ ისეთებიც ურევიან წევრთა შორის, ვისაც თითქმის შავის-ქვის მწარმოებლის სახელსაც ვერ დავარქმევდით, ან იმიტომ, რომ არა აბადიათ-რა, ან კიდევ იმიტომ, რომ შავისქვის წარმოებაში მათი სახელი ჯერ კიდევ არავის არ უხსენებია.

ნამდვილი მწარმოებელი წინ დახედულია და ფრთხილი; სულ-წასული ადამიანი წარმოებისათვის არ ვარგა და წინ ეღობება ყოველთვის მწარმოებლის სიფრთხილეს.

ვინ გაიმარჯვებს ახლა სინდიკატის საქმეში,—ნამდვილ მწარმოებლების სიფრთხილე თუ ზოგიერთების სულ-წასულობა და უანგარიშოდ სესხის აღების სურვილი? შავი-ქვის საქმეს, სინდიკატის გაძლიერებას მოჰხმარდება ბერლინიდგან გამოგზავნილი ფული, თუ წვრილ-წვრილად დაურიგდება სინდიკატის წევრებს და შეუმჩნეველად, საერთო საქმისათვის უსარგებლოდ, დაიფანტება ჭიათურაში და იმერეთის სხვა და სხვა კუთხეში? როგორი იქნება სინდიკატის პირველი ნაბიჯი?

ჩვენდა თავად გვგონია, რომ ეს 200,000 მანეთი, რომელსაც ასეთის ზეიმით მიეგება ჩვენი საზოგადოება, უნდა მოჰხმარდეს საერთო საქმეს, ქვის მიღებას საერთო საწყობზედ. ამ ფულით დიდ-ძალ ქვას შეიძენს სინდიკატი და საქმით შეაერთებს ერთმანერთში შავიქვის ადგილობრივ მწარმოებლებს, რასაც უთუოდ მოჰყვება შავი-ქვის საქმის გამოკეთება.

ფულის დარიგება—დღევანდელი, წარმავალი სარგებლობაა, ეს ფული რომ დაიხარჯება, მწარმოებელი კიდევ უფრო უარესს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგანაც კიდევ ზედ მეტი ვალი დაედება გადასახდელი.

ფულის დახარჯვა საქმეზედ საქმეს გამოაკეთებს და ეს გამოკეთება ხომ ყველასათვის სასურველია.

სულ-წასული, ვალის ადვილად ამღები ადამიანი ყოველის რიგიან წარმოების მტერია; ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ამ თავითვე სინდიკატის საქმეში გაიმარჯვოს ამნაირთა აზრმა და ამგვარად გაეთხაროს ძირი სინდიკატს, რომლის დაღუპვასაც მის წევრთა საერთო პასუხისმგებლობა მოჰყვება...

ქ. თუმანიშვილი.

მიწის ძვრის ამბები

შემახა.

⁂ ძნელი ასაწერია ის ზარი და უბედურება, რაც თავს გადაჰხდა მიწასთან გასწორებულს შემახას, რომელიც სულ ამ რამდენისამე დღის წინად სიცოცხლით სავსე იყო. ქალაქის ქვემო უბანში ქვა-ქვაზედ არ დარჩენილა. სუნნიტთა ჯამე, მეათე საუკუნეში აგებული, რომელმაც ცხრაასის წლის განმავლობაში გაუძლო რამდენსამე მიწის ძვრას, დღეს ნანგრევთა გროვას-ღა წარმოადგენს. აქაურის პოლკის ჯარის-კაცნი, კომანდირის პოლკოვნიკის გლინსკის მეთაურობით, შეძლებისადაგვარ ჰშველიან ხალხს. ქალაქის ქუჩებში ჯარის-კაცთა განსაკუთრებული რაზმები ეძებენ ნანგრევებში დაღუპულთ; თუმცა მათ ხელს უშლის შეუჩერებელი მიწის ძვრა, მაგრამ მაინც ბევრნი დაღუპულნი ამოიღეს, რომელთა შორის არიან რაღაც სასწაულით ცოცხლად გადარჩენილებიც. გულის ამმღვრევს სანახავს წარმოადგენს აბანოების ნანგრევები, რომელთა გადათხრის დროს ჰპოვებენ გაჰყლეტილ ქალებისა და ბავშვები მთელს გროვას.—მთელს შემახაში სიცოცხლე სრულიად შესწყდა. არ არის არც პური, არც სხვა რამ სანოვაგე. ყველანი ისე ზარდაცემულნი არიან, რომ იმ ორიოდე სახლების მდგმურთაც, რომელნიც დანგრევას გადარჩნენ, მეტადრე ქალაქის ზემო უბანში, მიატოვეს თავიანთი სადგომები. ყველა ისე ბინავდება, ვისაც როგორ შეუძლიან: ზოგი კარავს იდგამს, ზოგიც ალაჩუღს.—ყოველთ უწინარეს საჭიროა პური და კარვები თორემ საშიშია, რომ მცხოვრებლებში გაჩნდება რამე გადამდები სენი (Нов. Обоз.).

⁂ ძნელად წარმოსადგენია ის, რასაც კაცი ამ ჟამად შემახაში ჰხედავს. ყოველ მხრივ კვნესა და ტირილი ისმის. ყოველს ნაბიჯზე შეჰხვდებით ნანგრევთა შორის შვილეჩის მაძებარს უბედურს დედებს. საჭიროა პური და პირველ საჭიროებათა ნივთები. ტფილისიდგან ჯარების გამოგზავნამ ნანგრევებში დაღუპულთა მოსაძებნად აქ ყველა გაახარა. გუშინ ნანგრევებიდგან ამოიყვანეს თორმეტი ცოცხლად გადარჩენილი. მიწის ძვრა არ შეჩერებულა („კავკ.").

⁂ შემახიდგან ბაქოში ჩასულს ცხენოსანს უამბნია იქაურთათვის, რომ მიწის ძვრამ დიდი უბედურება დაატეხა თავს შემახასაო. მთელს ქალაქში მხოლოდ 12 სახლი გადარჩენილა დაუნგრეველი. მცხოვრებლებთაგან ზოგნი შეეხიზნენ ახლო-მახლო სოფლებს, ზოგნიც მინდვრად დაბინავდნენ. მიმოსვლა შეწყვეტილია, ცხენების შოვნა შეუძლებელია, ტელეგრამებზე პასუხს არავინ იძლევა. ერთმა ბაქოში მცხოვრებმა, რომელსაც შემახაში ჰყავს დედ-მამა, იანვრის 31-ს ექვსი ტელეგრამა გაგზავნა და არც ერთზე პასუხი რომ არ მოუვიდა, იქირავა ფაეტონი 70 მანეთად და თვით წავიდა შემახაში.

შემახიდგან იწერება იქაურ ქალაქის უხუცესად ნამყოფი ა. ლალაევი, რომ ეხლანდელი მიწის ძვრა უსაშინელესია ყველა წინანდელ მიწის ძვრაზედაო („კასპი").

⁂ შემახელების უბედურება გაართკეცა: ა) ბაზარში გაჩენილმა ცეცხლმა, ბ) ძლიერმა სიცივეებმა და გ) ქარიშხალმა. შიშისაგან ტელეგრაფისტები, ერთის მეტი, ყველა გაქცეულა, ამიტომაც პირველს ორს დღეს ტელეგრამები ერთობ იგვიანებდნენ.

⁂ შემახაში მყოფმა ბაქოს ვიცე-გუბერნატორმა ტელეგრამით დაიბარა შემახელებისათვის პური. პოლიცმეისტერმა გაგზავნა კიდეც ქურდამირის სადგურზე ერთი ვაგონი პურით სავსე.

⁂ მიწის ძვრა შემახაში არ ახალია, ძველია. წარსულ საუკუნოებში ეს შავბედითი ქალაქი რამდენჯერმე გასწორებულა, დღევანდელსავით, მიწასთან. 1859 წლამდე იგი ითვლებოდა საგუბერნიო ქალაქად შემახიის გუბერნიისა. ამ წელში-კი მიწის ძვრამ სრულიად დაანგრია იგი და მთავრობამ საგუბერნიო ადმინისტრაცია გადაიტანა ბაქოში და შემახიის გუბერნიასაც ბაქოს გუბერნია დაარქვა. ადმინისტრაციას ბაქოში თან გაჰყვა ბევრი მცხოვრებლები, უპირატესად მდიდარნი და სოვდაგარნი. მას შემდეგ შემახა ძლივ-ძლივობით გაშენდა და ის-ის იყო სულის მოთქმასაც აპირებდა, რომ 1872 წელს კიდევ ინძრა მიწა, დაინგრა მთელი ქალაქი, ასე რომ უბედურ შემახელებს სულისა და ხორცის მეტი არაფერი შერჩენიათ... მას აქეთ 19 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში, როგორც იყო იბრუნებდნენ სულს და ახლა ეს ღვთის რისხვა დაატყდათ თავს...

⁂ ბაქოელს მილიონერს და ცნობილს ქველ-მოქმედს ჰაჯი-ზეინალ-აბდინ თაღიევს შეუდგენია შემახელთა დამხმარე ქველ-მოქმედი კომიტეტი და თვით შეუწირავს 1,000 მანეთი („კასპ").

ბაქოსა და მისს მიდამოებში:

⁂ მიწის სუსტი ძვრა ყოფილა აგრეთვე მთელის კასპის ზღვის დასავლეთს ნაპირზე. უფრო საგრძნობლად ძრულა მიწა ბალახანსა, ბალაჯარსა, ხანგაჩალასა, სალირასა და ხაჩმაზში.

ახალი ამბავი

⁂ „Новое Время"-ს № 9305-ში დაბეჭდილია ვრცელი აღწერა იმ რაუტისა, რომელიც პეტერბურგის თავად-აზნაურობამ გაუმართა ჩვენის (ტფილისის) თავად-აზნაურო-

ბის დეპუტაციას. რაუტს დასწრებიან დიდი მთავრები ნიკოლოზ მიხეილის ძე და სერგეი მიხეილის ძე, გარდა სხვა საპატიო სტუმრებისა. ჩვენის, დეპუტატების შესახებ, სხვათა შორის ნათქვამია: „რა ლამაზნი არიან! მათ შორის, ნახავთ სამოც და ათის წლის მოხუცსაც, მაგრამ ისინიც სურათებსავით მშვენიერნი არიან თავიანთ ჩოხებით. მხატვრისათვის, მაგალითად, ნამდვილი განძია დიდებული სანახაობა მხცოვანის გენერალ-ადიუტანტის თ.-დის ამილახვარისა“.

⁂ კეროსინის ქვაბებისა და ყოველნაირ ბარგის დაცვა ბაქოს სადგურზე მიუნდვიათ ფოთისა და ბათომის ძველის მოიჯარადრის ბერეჟიანისათვის. მისთვისვე მიუნდვიათ ვაგონების ბარგის დატვირთვა და დაცლა. მოიჯარადრემ გირაოდ შეიტანა ათი ათასი მანეთი. იმედია, რომ აწ მაინც შემცირდება ბარგის ქურდობა. ან როგორ არ უნდა ყოფილიყო ქურდობა, როცა წინანდელს იჯარადარს მხოლოდ 300 მან. ჰქონდა გირაოდ („Каспій“).

⁂ მოსკოვში ახლო მომავალში გასამართავს მეღვინეთა და მევენახეთა კრებაზე, სხვათა შორის, შეაქვთ პროექტი, რომ მევენახეობის გუბერნიებში შეზღუდულ იქმნას ღვინოების გაყიდვა იქვე დასალევად, რადგანაც აწინდელმა წესმა, ფინანსთა სამინისტროს ცნობებით, მეღვინეობის მიმდევარი გუბერნიები ძველებურს რუსულ „კაბაკებს“ დაამზგავსა. სასურველია, რომ ამ პროექტის განხილვის დროს ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებული პირობებიც არ იქმნან დავიწყებულნი.

⁂ ამ 1902 წ. სამადნო უწყება ნავთიან მიწებისა მოელის 4.750,000 მან. იჯარის ფულს. ეს შემოსავალი 1.258,000 მანეთით მეტობს წარსულის წლის შემოსავალს.

⁂ სად. ქარელიდგან გვწერენ: ამ სადგურის ათასნაირი უსუფთაობა ყველა აქ მომსვლელ მგზავრთათვის არ ახალია, ძველია: რაარ შეჰხვდება კაცი იმ ოთახში, რომელსაც „მგზავრების დასასვენებელ ოთახს“ ეძახიან. ტალახი, ნახერხი, ნახშირის გროვა ერთმანეთშია არეული, ერთ კუთხეში ბზეა დაბნეული, მეორეში ქერი; ბზეში ძაღლებს მოუკალათნიათ, ქერს ინდოურები და ქათმები ჰქექენ, და კიდევ ვინ იცის, რამდენს რას არ ჰხედავთ, მაგრამ ვიმეორებთ, ეს არ ახალია ძველია. ზამთარში ხომ უფრო ადვილი ასატანია უსუფთაობა, თუ სიცივემ არ შეგაწუხა და სწორედ ეს სიცივე ჰკლავს ქარელის სადგურზე მიმსვლელ მგზავრებს, თვე გავა, რომ ფეჩებს ცეცხლს არ აღირსებენ. ისეთი აუტანელი სიცივეა, რომ ხალხი იყინება, იხვეწებიან „აგვინთეთ ღვთის გულისათვის ცეცხლიო“, მაგრამ ვინ დაგიჯერათ: დინჯად გიპასუხებენ ახლა რად გვინდა, საღამოს ავანთებთო და ალბად საღამოსაც არ იწუხებენ თავს, რადგან, დილით რაც უნდა ადრე მიხვიდეთ, ისევე ყინვაა და სხვა არაფერი.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად, ამ წინაზე მოკლულ ვედენეევის მაგივრად, დაუნიშნავთ ბ. ივანოვსკი, რომელიც შარშანდლამდე შუა-აზიის რკინის გზაზედ მსახურებდა უფროსის თანაშემწეთ.

⁂ ტფილისის ტრამვაის მეთვალყურე კომისიამ შენიშნა ტრამვაის დირექტორს შემდეგი უწესოებანი: ცხენების უვარგისობა, ვაგონების დაძველება და მალი-მალ გადაცდენა რელსებიდამ, პაპიროსის წევა კონდუქტორებისა და კუჩრებისაგან, ვაგონების ნელა ტარება და სხვა. ყველა ეს შენიშნული გარემოებანი პირობების წინააღმდეგია, ამიტომაც კომისიის თავმჯდომარე სულხანოვი პასუხს სთხოვს ტრამვაის დირექტორს. ამასთანავე კომისია დირექტორს ავალებს რემონტი გაუკეთოს გზებს, ნამეტნავად რიყის ქუჩას, და რემონტის დასრულება დროზე აცნობოს კომისიას, რომ რევიზია მოახდინოს. სულხანოვი აგრეთვე სთხოვს დირექტორს წარმოუდგინოს კომისიას გადასასხდომ ბილეთების წესი.

იმერეთის ამბები:

ქუთაისი: ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი ნ. ჩხეიძე უკვე კარგად არის და ექიმების ნებართვით ამ კვირაში დაიწყებს სცენაზე თამაშს.

სოხუმი: ბ-ნმა კნიჟნიკომ ითავა აქაურ ნოქართა ამხანაგობის შედგენა. დიდმა უმრავლესობამ ნოქრებისამ (120 კაცმა) თანხმობა გამოაცხადა საზოგადოების შედგენაზე, ხოლო 27 იანვრის კრებას-კი, რომელსაც უნდა განეხილა წესდების პროექტის შედგენის საქმე, ცოტანი დაესწრნენ, სულ 50. კრებამ ამოირჩია რვა კაცისაგან შემდგარი კომისია და მას მიანდო ორის კვირის განმავლობაში წესდების პროექტის შედგენა.

წერილი ქუთაისიდგან.

(სამეურნეო საზოგადოების კრება)

28 იანვარს პირველად შესდგა ახალმოსულის გუბერნატორის სმაგინის თავმჯდომარეობით ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების კრება. კრებას 30-მდე ინტელიგენტი დაესწრო. პირველად სამეურნეო სკოლის მზრუნველმა დ. ბაქრაძემ სკოლის საქმეები მოახსენა. ამ საქმეებში დღეს მისი ყურადღება მიუქცევია იმ არა ნორმალურს გარემოებას, რომ „განყოფილებას“ დაქვემდებარებული სკოლა მას არავითარ ანგარიშს არ აძლევს, საყურადღებო საკითხებს (მაგ. ამ წლიდგან მოსამზადებელ კლასების დაარსების შესახებ) მისის დახმარებით არ სწყვეტს და სხვ. მისი ახლანდელი მმართველი არ უდგენს „განყოფილებას“ შემოსავალ-გასავლის სავარაუდო სიას, ხარჯების ანგარიშს და საზოგადოდ სკოლის შინაურ მდგომარეობას არ უთვალისწინებს.

ამიტომ განყოფილებამ ამოირჩია 5—6 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შეადგინოს ინსტრუქცია სკოლისათვის და სკოლის საბჭოსთან ერთად განაგოს მისი მეურნეობა.

აქ უნებლიედ ჩამოვარდა ლაპარაკი სკოლის ახლანდელ მდგომარეობაზედ. ეგ მდგომარეობა მაგრე რიგად სანატრელი არ არისო, განაცხადა სხვებთან ერთად წევრმა თ-დმა პ. წულუკიძემ. ამ სკოლაში ყველაფერს სწავლობენ შეგირდები და საფუძვლიანად-კი ვერაფერსაო, სთქვა მან; ვერ გვიმზადებს სამეურნეო სწავლა-ცოდნის გამავრცელებელ აგენტებს და აი, ამას უნდა მიექცეს ყურადღებაო. საქმის გამოსაკეთებლად ზოგმა სთქვა, რომ სპეციალური პროგრამა უნდა გაფართოვდესო, ზოგი-კი იმ აზრისა იყო, რომ საზოგადო პროგრამა უნდა იქმნას გავრცელებულიო.

მაგ. გამოითქვა აზრი, რომ არსებულ სპეციალურ კლასებს მიემატოს ერთის წლის საპედაგოგო კურსი, რათა სპეციალისტ-მეურნეებმა ერთს და იმავე დროს სოფლებში საზოგადო საგნების სწავლებაც შესძლონო.

ეს საკითხიც გამოსაკვლევად კომისიას გადასცეს, რომელმაც უნდა შემდეგის კრებისათვის წარმოადგინოს თვისი მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია და შესაძლოა ნივთიერად ამ გვარის კურსის რსებულ კლასებისათვის მიმატება. ამასთან მმართველმა ლუბენეცკიმ ისიც-კი განაცხადა, რომ, თუ თავად-აზნაურობა უმაღლესა დნაბოძებ 20,000 მან. ამ სკოლისათვის გადასდებს, მაშინ ვიშუამდგომლებთ ჩვენი სკოლა საშუალო სამეურნეო სასწავლებლად გადააკეთონ და აი, მაშინ მოვამზადებთ სოფლის ნამდვილ მეურნეებსაო. მაგრამ ამ გვარ წინადადებაზე თავად-აზნაურობა შესაძლოა თუნდაც მარტო იმისათვის არ დასთანხმდეს, რომ ეს სკოლა ყოველგვარ წოდების თავ-შესაფარია და ნაბოძები ფული-კი თავადაზნაურთა წოდების შვილთა სწავლების სასარგებლოდ არის გაღებული.

შემდეგი მოხსენება წაიკითხა სახალხო სკოლების ინსპექტორმა კ. მაჭავარიანმა. მისი მოხსენებაც ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას შეეხებოდა. ამ აზრით მან დაახასიათა სადირექციო სკოლების მდგომარეობა, აღნუსხა მრავალნაირი თვისი დაკვირვებანი ხალხში მეურნეობის გავრცელების შესახებ, რაც, მისის სიტყვით, არა სასურველ მდგომარეობაში ყოფილა. მთელს ქუთ. გუბერნიაში 126 სკოლა არის, სადაც სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას სცდილობენ. აქედგან ქუთ. მაზრაშია — 34 სკოლა, ოზურგეთისაში—19, ლეჩხუმისაში—5, რაჭაში—4, შორაპანში—12, სენაკში—20, ზუგდიდში—13, ართვინის ოლქში—2, ბათუმისაში—3 და სოხუმისაში—14. ყველა ამათთვის 180 დეს. მიწაა მიჩენილი. აქედან გლეხებს მიუციათ სკოლებისათვის 51 ნაჭერი, თავადებს—17, აზნაურებს—14, ხაზინას —9, სასულიერო წოდებას—16, კერძო ქველმომქმედთ—7, ქალაქესა და სასოფლო საზოგადოებათ — 35 და 1-იც სახელმწ. ქონებათა სამმართველოს.

ამ სკოლებიდგან 5-6 თუ იღებს მთავრობის მიერ დახმარებას, დანარჩენები კერძო დახმარების ამარა არიან. იმათი მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში თავიანთ მცირე ჯამაგირით ყიდულობენ თითო-ოროლა ბარ-ნიჩაბს და ისე მისდევენ მეურნეობას სკოლებში. თან მიწაც არა აქვთ, რომ ფართოდ დაიწყონ მეურნეობა. ამასთან, უმეტესს მათგანს სპეციალურად სამეურნეო დამთავრებული ცოდნაც აკლიათ. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მასწავლებლის მეტად გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობას. მისის გამოანგარიშებით საშუალო რიცხვი სოფლის მასწავლებლების ჯამაგირისა არის 13 მან. 66 კ., რომელსაც სამესამედოთაც ვერ იღებენ დროზე. 3, 4, 5 და 6 თვე ჩვეულებრივი ვადაა მასწავლებლების ჯამაგირის მიღებისა. მე მუდამ მაწუხებენ მასწავლებლები, რომ ოთხ-ოთხ თვეობით ჯამაგირებს ვერ ვიღებთ და გვიშუამდგომლეთ, სადაც ჯერ არს, მოგვაქციონ ყურადღებაო. ეს განაცხადა საერო სკოლების ინსპექტორმა, რომლის უწყებაშიაც შედარებით უფრო უზრუნველ-ყოფილნი არიან მასწავლებელნი, და რაღა უნდა ვთქვათ სამრევლო სკოლების შესახებ, სადაც კიდევ უარესს მდგომარეობაში არიან სოფელში სწავლა-განათლების გავრცელების პიონერები... მათი ლუკმა პური ხომ „სოფლის კუნწულა“ ბოქაულის, ღვდლის, მამასახლისის, მოსემწერლების ხელშია: როდესაც და რამდენსაც მოისურვებენ, მაშინ და იმდენად დააჯილდოვებენ მასწავლებლებს.

ბ-ნ მაჭავარიანს თავისს მოხსენებაში ერთგვარი სტატისტიკური ცნობებიც ჰქონდა სოფლის სამეურნეო ნაწარმოების შესახებ. ეს ცნობები შეეხებოდა ქვიტირის საზოგადოების 5-6 სოფელს, რომლის მეურნეობითაც იკვებება თითქმის მთელი ქუთაისი. ამ დარგის განვითარებას ხელს უწყობს აქაური ნიადაგიც. მისის გამოანგარიშებით აქაური გლეხი 200—300 მან. შოულობს წლიურად მწვანილეულობის, ქათმის, კვერცხისა და სხ. მისთ. ვაჭრობით, მაგრამ იგი თითქმის მთლად სტოვებს ამ ფულს ისევ ქუთაისის სამიკიტნოებშიო.

ყოველ ზემორე ნათქვამის შემდეგ მოხსენების ავტორმა შემდეგი დაასკვნა: „განყოფილების“ და მისის თავმჯდომარის ყურადღების მისაპყრობად: 1, დაარსდეს ინსტიტუტი მოსიარულე მასწავლებელთა, ინსტრუქტორები, რომელნიც ივლიან სოფლებში და შეუვსებენ სოფლის მასწავლებლებს სამეურნეო ცოდნას და ზედამხედველობას გაუწევენ იმათ მოქმედებას. 2, მიექცეს სოფლის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მეურნეობის იმ დარგსა, რომელიც სად არის უფრო გავრცელებული და არა სადეკორაციო და ძვირფასს მცენარეებს. 3, თანასწორად განაწილდეს შემწეობა ფულით და მიწებით ყველა სასწავლებელთა შორის. 4, დაეხმარნენ ბახვისა და ციხის (გურიაში) სამეურნეო ავტონომიურ სკოლებს, რომელნიც კერძო კაცთა მხნეობით არიან შექმნილნი. 5, გამოფენები ინიშნებოდეს ხალხ-მრავალ სოფლებსა და დაბებში. 6, გამოიკვლიონ ის დარგნი მეურნეობისა, რომელნიც უფრო სასარგებლოა ხალხისათვის. 7, მიექცეს ყურადღება წვრილფეხის გამრავლებას, რასაც ასე ფასი დაედვა ამ ბოლო დროს. 8, ეთხოვოს გუბერნატორს მისწეროს ფიცხელი განკარგულება მაზრის უფროსებს და ბოქაულებს, რომ სოფლის მასწავლებლებს თვიურად ეძლიოს ჯამაგირი. 9, მიექცეს სანოვაგის გაყიდვის საქმეს ყურადღება და 10, დაარსდეს ქუთაისში სასტატისტიკო ბიურო,

ბოლოს ავტორი მოხსენებისა იმდენად გაიტაცა მრავალ კეთილ სურვილების ახალის გუბერნატორის წინაშე წარმოთქმამ, რომ სთხოვა იზრუნოს არხეოლოგიურ და ეტნოგრაფიულ საზოგადოების და მუზეუმის დაარსებისათვის ქუთაისში. ეს მეტად საჭირო საქმეა, რადგან ქუთაისის გუბერნიაში აურებელი სიმდიდრეა, საეტნოგრაფიო და საარქეოლოგოო.

ავტორმა თვისი მოხსენება შემდეგის, გუბერნატორისადმი მიმართულ სიტყვებით დააბოლოვა: „вотъ потому съ восторгомъ привѣтствуемъ назначенiе въ этой губ. губернаторомъ генералъ-маiора Смагина, кот., получивъ такое высшее отвѣтственное назначенiе, и такъ скоро завоевавъ сразу общественную симпатiю, не откажетъ создать здѣсь археолог. и этногр. общество, губернскiй музей и статистическое бюро».

გუბერნატორი ზოგიერთ თხოვნის დაკმაყოფილებას (მაგ. მასწავლებლების მიერ ჯამაგირის თავისს დროზე მიღებას) კრებაზედვე შეჰპირდა დამსწრეთ.

ამავე კრებაზედ წაიკითხა ახალი მოხსენება საგუბერნიო აგრონომმა ს. ტიმოფეევმა სიმინდის ჩრჩილის, მატლის შესახებ. აგრონომს ახლა-ხან შემოუვლია სიმინდის რაიონები გურია-სამეგრელოსი და ამბობს, რომ 1901 წ. მოსავალი იმდენად დაზიანებული არ არის ამ სენით, როგორც 1900 წ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ სიმინდი მაინც ძვირი ყოფილა: 60 კაპ. თურმე ღირს რკინის გზებთან და გაზაფხულისათვის, როცა ადგილობრივი მოთხოვნილება იმატებს, ფასებიც აიწევსო. ბ-ნ ტიმოფეევის აზრით, სიმინდის ფასების მატება შემთხვევითი მოვლენა არ არის: ამას ხელი შეუწყო ამერიკაში სიმინდის მოუსავლობამ. უნგრეთის სამიწათ-მოქმედო სამინისტროს გამოანგარიშებით, მთელის ქვეყნიერობის წარმოება სიმინდისა წარსულ წელში იყო 728,734 მილიარდი ჰექტოლიტრი, 1900 წელს-კი იგი უდრიდა 979—992 მილ. ჰექტოლიტრს, ე. ი. განსვავება 250 მილ. ჰექ. შეადგენდა. ევროპაში იგი 17 მილ. ჰექ. მეტია 1900 წლისაზე, ამერიკაში-კი

ფელეტონი

მონაკოს პატიმარი

გუი დე მოპასანისა

(ფრანგულით)

ამ რამდენისამე წლის წინად ერთი ფრიად მძიმე და სრულიად ახალი ამბავი მოხდა მონაკოს სახელმწიფოში. კაცი მოჰკლეს. ერთმა კაცმა, მონაკოელმა და არა რომელმამე იმ უცხო მოხეტიალეთაგანმა, რომელთაც ათასობით შეჰხვდებით ამ ქვეყანაში, ქმარმა, გაბრაზების დროს, მოჰკლა თავისი ცოლი.

მოჰკლა უმიზეზოდ, შეუწყნარებელის საბაბის უქონლად. მთელს სამთავროში ერთობრივ აღელდა ყველა. შეკრბა უმაღლესი სამსჯავრო ამ არა ჩვეულებრივის საქმის გასარჩევად (თავის დღეში კაცის კვლა არ მომხდარიყო აქ) და უბედურს ერთხმად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. აღშფოთებულმა მთავარმა დაამტკიცა ეს განაჩენი. ახლა უნდა დაესაჯათ დამნაშავე. მაგრამ საქმე ცოტა გაძნელდა. ამ ქვეყანას არა ჰყავდა ჯალათი, და არც ჰქონდა თავის მოსაჭრელი იარაღი—გილიოტინა. რა ექნათ? გარეშე საქმეთა მინისტრის რჩევით, მთავარმა დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან, რომ ეთხოვებინათ ჯალათი მისის მოწყობილობით. ამ თხოვნის განხილვას საფრანგეთის სამინისტრო კარგა ხანს მოუნდა პარიზში. ბოლოს თხოვნის პასუხად მთავარს მოუვიდა პარისიდგან ჯალათის მისვლა-მოსვლის და გილიოტინის გადატან-გადმოტანის ხარჯების ნუსხა. ხარჯად გამოანგარიშებული იყო თექვსმეტი ათასი ფრანკი. ცხადია, ცოლის მკვლელი ამად არ ღირდა. თექვსმეტი ათასი ფრანკი ერთის უმზგავსის კაცის კისრის მოსაჭრელად! რას ბრძანებთ? მეტის-მეტი იყო!

ახლა იტალიის მთავრობას მიჰმართეს. იტალიის მთავრობამ უანგარიშა თორმეტი ათასი ფრანკი. თორმეტი ათასი ფრანკი! საჭირო ხდებოდა ახალის გადასახადის გაწერა, ორი ფრანკი მოვიდოდა მკვიდრის თავზე. ეს საკმარისი იყო, რომ სახელმწიფოში ჯერ კიდევ უცნობი არეულობა მომხდარიყო.

იფიქრეს დამნაშავის თავი მოეჭრევინებინათ უბრალო სალდათისათვის. მაგრამ გენერალმა, რომელსაც შეეკითხნენ, უპასუხა ყოყმანით, რომ ჩემი კაცები არ უნდა იყვნენ საკმარისად გავარჯიშებულნი მჭრელის იარაღის ხმარებაში, და არა მგონია მოახერხონ იმისთანა საქმის შესრულება, რომელიც თხოულობს დიდს გამოცდილებას ხმლის ხმარებაშიო...

მაშინ მთავარმა ხელახლად მოიწვია უმაღლესი სამსჯავრო და მას მიანდო ამ გასაჭირ საქმის განხილვა. ბევრ ხანს ითათბირეს, მაგრამ ვერავითარი პრაქტიკული საშუალება ვერ ჰპოვეს. ბოლოს პირველმა თავმჯდომარემ ურჩია ამხანაგებს, შევცვალოთ სიკვდილით დასჯა სამუდამო დამწყვდევითაო და ეს საშუალება მოწონებულ იქმნა კიდეც მთელის სამსჯავროსაგან. მაგრამ საპყრობილე არ ჰქონდათ. იძულებული შეიქმნენ დაეწესებინათ საპყრობილე და დაენიშნათ მისი მცველი, რომელსაც ჩააბარეს პატიმარი.

ექვსის თვის განმავლობაში ყველაფერი რიგზე მიდიოდა. პატიმარი მთელი დღე წამოწოლილი იყო თავისს ოთახში ჩალით გატენილ ლეიბზე. მცველიც აგრეთვე იჯდა სკამზე კარ წინა და უყურებდა გამვლელ-გამომვლელს. მაგრამ მთავარი ხელ-მოჭერილი კაცია და ანგარიშს ითხოვს სულ უმცირესის ხარჯისასაც-კი, რომელიც მის სახელმწიფოში ხდება (მათი სია გრძელი არ არის). წარუდგინეს ანგარიში იმ ხარჯისა, რომელიც გამოიწვია ამ ახალმა დაწესებულებამ, საპყრობილისა, პატიმრისა და მცველის შენახვამ. მცველის ჯამაგირი ემძიმა მთავარს.

თავდაპირველად დაიღრიჯა მთავარი, მაგრამ როდესაც იფიქრა, რომ შესაძლო იყო ეს ხარჯი მუდამ ასე დარჩენილიყო (დამნაშავე ყმაწვილი კაცი იყო), შეატყობინა სამართლის მინისტრს, საჭიროა ღონე რამ ვიპოვოთ ამ ხარჯის მოსასპობადო. მინისტრი მოელაპარაკა სასამართლოს თავმჯდომარეს და ორნივე მოთანხმდნენ, რომ მოსპობილიყო საპყრობილის მცველის თანამდებობა. პატიმარი, რომელსაც მიანდობდნენ თავისს თავის დაცვას, უეჭველია, გაიქცეოდა და ამით გადაწყდებოდა საქმე ყველას სასიამოვნოდ.

საპყრობილის მცველი დაუბრუნდა ოჯახს. მთავრის სასახლის მზარეულის თანაშემწეს დაავალეს ეზიდნა დილა-საღამოს საზრდო დამნაშავისათვის, რომელსაც სრულებითაც არ მოჰსვლია აზრად თავისუფლება დაებრუნებინა.

ერთს დღეს, როდესაც დაუდევრობით არ მიუტანეს საზრდო, პატიმარი ადგა, მივიდა წყნარად სასახლეში და მოითხოვა საჭმელი. მას აქეთ, მზარეულის თანაშემწე რომ არ გაესარჯა, თითონ დაიწყო სიარული სასახლეში პურის ჭამის დროს და იქ მიირთმევდა პურს მოსამსახურეებთან ერთად, რომელთაც კიდეც დაუმეგობრდა. საუზმის შემდეგ გაისეირნებდა ხოლმე მონტე-კარლომდე. აქ ხანდახან შედიოდა კაზინოში და ბედის საცდელად გაიმეტებდა ხოლმე ხუთს ფრანკს. როდესაც მოიგებდა, კარგს სადილსაც მიირთმევდა ხოლმე რომელსამე განთქმულს სასტუმროში. შემდეგ ბრუნდებოდა თავისს საპყრობილეში, რომლის კარებსაც ფრთხილად ჩაიკეტავდა ხოლმე შიგნიდგან. მდგომარეობა ძნელი ხდებოდა არა მსჯავრ დადებულისათვის, არამედ მსაჯულთათვის. სამსჯავრო ხელახლად შეიკრიბა და გადაწყვეტილ იქმნა, რომ წინადადება მიეცათ დამნაშავისთვის გასულიყო მონაკოს სახელმწიფოდგან. როდესაც პატიმარს შეატყობინეს ეს განაჩენი, მან უპასუხა უბრალოდ: „სასაცილოა თქვენი საქმე! აბა, რა უნდა ვქნა? აღარა მაქვს ცხოვრების საღსარი. აღარა მყავს ოჯახი. რა გინდათ ჩემგან? მომისაჯეთ სიკვდილი, მაგრამ არ მომკალით. მე ხმა არ ამომიღია. შემდეგ მომისაჯეთ სამუდამოდ დამწყვდევა და მომიჩინეთ მცველი, მაგრამ ისევ წამართვით. მაშინაც ხმა არ ამომიღია. დღეს გინდათ გამდევნოთ ქვეყნიდგან. მაგრამ, უკაცრავად! მე პატიმარი ვარ, თქვენი პატიმარი, გასამართლებული და მსჯავრ-დადებული თქვენ მიერ. მე ვიხდი ჩემს სასჯელს ერთგულად და აქედგან ფეხსაც არ მოვიცვლი“.

სამსჯავრო სახტად დარჩა. მთავარი საშინლად გაჯავრდა და ბრძანა მოეფიქრებინათ რამე. დაიწყეს თათბირი და გადაწყვეტილ იქმნა დაენიშნათ დამნაშავისათვის პენსიად ექვსასი ფრანკი იმ პირობით, რომ გასულიყო უცხოეთში საცხოვრებლად. ისიც დასთანხმდა.

აიღო იჯარით ერთი პატარა ნაჭერი მიწა თავის ძველის ხელმწიფის სამფლობელოდგან ხუთის წამის სავალზე და იქ დაიწყო ცხოვრება ბედნიერად თავისს მიწაზე.

სამთავროს სამსჯავროს არქივებში შეიძლება ნახოს კაცმა განაჩენი, რომლითაც დადგენილია პენსია დამნაშავისათვის და რომლითაც დავალებული აქვს მას აგრეთვე მოშორდეს მონაკოს არე-მარეს.

დ. კარიჭაშვილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები *)

(დასასრული*)

VI

> „ყმა უმღერალი არ ვარგა,
> ჭაბუკი უხელებელი“.
> ფშაური.

დამრჩა კიდევ აღსანიშნელი ერთი თვისება ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა. მინდა ამ თვისებას ალ. ჭავჭავაძის ქნარისას ცალკე თავი ვუძღვნა, რადგან იგი თვისება მიჩნეული არ არის. ის-კი არა, ამ მნიშვნელობას უფრო ხშარად გრ. ორბელიანს მიაწერენ ხოლმე. ჩვენში აქსომათ არის აღსარებული, რომ საქართველოს ბუნების მშვენიერება და ამ ბუნების მრავალ-ფეროვანი მოხაზულება პირველად აწერილი აქვს მხოლოდ მარტო-ოდენ გრ. ორბელიანს. ეს აზრი ისე გავრცელებული და შესისხლ-ხორცებული გვაქვს, რომ ალ. ხახანაშვილს მოვალეობად მიუჩნევია ეს აზრი საქართველოს მოკლე ისტორიაში ჩაერთო, იმ ისტორიაში, რომელიც შარშანწინდელ პარიზის მსოფლიო გამოფენისთვის იყო დაბარებული და დაწერილი. პატივცემული ავტორი ამბობს: c'est aussi dans ce journal 1) ue parurent les poésies du prince Alexandre Tchavtchavadzè, dit l'Anacréon Séorgien, et les écrits poétiques du prince drégoire Orbeliani, qui dèpegnit les majestueuses beautés du Caucase avec une grâce incomparable“ 2) ეს აზრი სრულიად შემცდარი აზრია. ამიტომ სავალდებულოა, სიმართლე, ჭეშმარიტება აღვადგინოთ. რასაკვირველია, სრულებით წინააღმდეგი არ ვარ და არც ვიქნები იმ აზრისა, რომ გრ. ორბელიანი დიდი პოეტია და რომ მას უაღრესად აქვს მინიჭებული მადლი ციური. მე მსურს მხოლოდ სინამდვილე აღვნიშნო, სიმართლეს გამოვესარჩლო და პირველობა მივანიჭო იმას, ვისაც მართლაც ეკუთვნის. კავკასიის ბუნების სიდიადე, მრავალ-ფერობა, ფერად-ფერადი და საკვირველი სანახაობანი პირველად ალ. ჭავჭავაძემ აღწერა ერთს ლექსში და ისეთის სისრულით ასწერა, რომ მისთვის ამ მხრივ წინ ირავის გაუსწვრია. ეს ლექსი „კავკასია“. ამ ლექსიდან ცხადად სჩანს, რომ გრ. ორბელიანს არა თუ გაუსწვრია წინ კავკასიის

---

*) იხ. «ივერია № 27.»

1) ჟურნალ „ცისკარშიო“.

2) იხ. A. Khakhanoff. Histoirde Géorgie გვ. 102.

271 მილ. ჰექ. ნაკლებია. ეს ცნობები ჩვენის სიმინდის გაძვირებასთან ერთად ცხად ჰყოფსო, ამბობს ავტორი, რა კავშირია ჩვენის სიმინდის გატანასა საზღვარ-გარედ და საქვეყნო ბაზარს შუა.

ისო.

დაბა და სოფელი

თელავი. მოგეხსენებათ, თელავში ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსებობს. შარშან ამ ბიბლიოთეკას 120 წევრი ჰყავდა. წელს-კი იკლო წევრთა რიცხვმა. იკლო იმიტომ, რომ ჟურნალ-გაზეთების დაბარება დააგვიანეს. თითოეული წევრი წლიწადში ერთს მანეთს იხდის და ნება აქვს ყოველ დღე იაროს ბიბლიოთეკა-სამკითხველოში და რამდენიც უნდა, იკითხოს ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. სასურველია, რომ ნახევარ-წლიური შესატანიც დაწესდეს, აგრეთვე თვიურიცა. მაშინ უფრო ბევრი წევრი ეყოლებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

ჩვენს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ჰქონდა 700-მდე რუსული და ქართული წიგნი. მომეტებული ნაწილი უფრო რუსული წიგნებია, ქართული წიგნები მხოლოდ $28^0/_0$-ი რომ იყოს, მეტი არ არის. სამწუხაროდ, ისე უწეს-რიგოდ განაგებდნენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმეებს, რომ ბევრი საუკეთესო წიგნი დაიკარგა. ეს გარემოება დიდად და დიდად სამწუხაროა. გვსურვებთ ამ ჩვენს ფრიად სასარგებლო დაწესებულებას მეტს წარმატებას.

სკოლები თელავს საკმაოდ აქვს და ნუ-თუ ერთმა ბიბლიოთეკა-სამკითხველომ ვერ უნდა [illegible]!

გ. ს—ძე.

ნარკვევი.

როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველებს, ამ წლის იანვრიდგან ტფილისის გუბერნიაში შემოიღეს საფაბრიკო ინსპექცია. „ცნობის ფურც." სიტყვებით, ოფიციალური ორგანო „ვესტნ. ფინან." ასე ასაბუთებს ინსპექციის შემოღების საჭიროებას:

„ტფილისის გუბერნიას საფაბრიკო მრეწველობის განვითარების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს კავკასიაში და ამიერ-კავკასიისათვის სამრეწველო ცენტრად ჩაითვლება.

უმთავრესად საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა განვითარებულია ტფილისში, სადაც 12 ათას მუშამდე ითვლება საკუთრივ სამრეწველო დაწესებულებებში. ამასთანავე უკანასკნელ წლებში ტფილისში მუშათა საქმის გამო რამდენიმე აღელვება მოხდა, რომელთა მიზეზების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ უმეტეს შემთხვევაში აღელვების მიზეზი იყო მუშაობის პირობათა ურიგო დაყენება. უფრო თვალსაჩინო გაფიცვათა საქმე-გარემოება განხილულ იქმნა განსაკუთრებულს კომისიებში, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვა-და-სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლნი; ამ კომისიების სხვა-და-სხვა დასკვნა მუშაობის პირობათა ამა თუ იმ ნაკლულევანებათა და მუშათა ცუდ მდგომარეობის შესახებ მაშინვე ეცნობა მრეწველთ, რომელთაც დაწვრილებით განუმარტეს, რა ცვლილებათა მოხდენაა საჭირო მუშების სამართლიან უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად.

მუშების გაფიცვათა მიზეზების გამოკვლევა, აგრეთვე ხსენებულ განსაკუთრებულ კომისიებში მოღვაწეობა შეადგენდა შრომას, რომელიც დიდ დროს თხოულობდა და კისერზე დააწვა ადმინისტრაციას, რადგან ამიერ-კავკასიაში საფაბრიკო ინსპექცია არ არსებობს; ხოლო ადმინისტრაცია იმდენ საქმეშია გართული, რომ ფიზიკურადაც არ შეეძლო ბეჯითად შესდგომოდა მუშათა საქმის გამოკვლევას. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ადმინისტრაციისგან მიღებულ ღონისძიებათ კერძო ხასიათი ჰქონდათ, არ შეეფერებოდნენ ტფილისში მრეწველობის სწრაფ ზრდას და ვერ აკმაყოფილებდნენ ახალის დროის მოთხოვნილებათ. ხოლო მუშაობის პირობათა გაუმჯობესობის საჭიროება თან-და-თან ძლიერდებოდა და საქმე რთულდებოდა. ასე რომ მარტო რეპრესიულის ღონისძიებათა შემწეობით ვერ გადაწყდებოდა; ამიტომ კავკასიის მთავარმართებელმა აღძრა შუამდგომლობა, რომ საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობა შემოღებულ ყოფილიყო მარტო ტფილისისათვის. ეს შუამდგომლობა უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა და დაწესდა საფაბრიკო ინსპექცია, მაგრამ არა მარტო ტფილისის, არამედ მთელის გუბერნიისათვის, რადგან საფაბრიკო საქმეთა საკრებულოს დაარსებისა და საფაბრიკო ინსპექტორების დანიშვნის შემდეგ ახალის კანონის მთელ გუბერნიაზე გავრცელება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

რუსეთი

როგორც ამბობენ, საქალებო სამკურნალო ინსტიტუტში ცვლილება მოხდება: გაფართოვებული იქნება პროგრამმა და მიემატება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება ცნობების შეკრებას რუსეთის განაპირა ადგილებში მცხოვრებ არა-რუსთა შესახებ და აგრეთვე იმის გამოკვლევას, თუ რამდენი სწავლა-განათლების დაწესებულებაა არა-რუს მკვიდრთათვის.

— ოდესაში სამოსამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაურჩევია საქმე 33 გლეხკაცისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მთავრობის წინააღმდეგობა და ერთის გლეხის მოკვლა, რომელმაც მხარი დაუჭირა მემამულეს. საქმე გაირჩა ხალხის დაუსწრებლად. პალატამ მიუსაჯა შვიდს დამნაშავეს კატორღა 4 წლით, თორმეტს — პატიმართა განყოფილება 1—3 წლამდის, ერთს—სატუსაღო 8 თვით და 11 გაამართლა.

— ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს-სამოსწავლო მთავრობამ დაურიგა შემდეგი განცხადებანი: 1) როგორც საერო განათლების მინისტრმა განმარტა ცირკულიარით 12 იანვრის 1902 წ., სტუდენტების კრებაზე მყოფს მთავრობის კაცს (იხ. დროებით წესდებათა მერვე §) ნება აქვს ესა თუ ის მიმართულება მისცეს კრებას და დაჰხუროს იგი, თუ კრება არა სასურველს მიმართულებას მიიღებს. 2) თუ საჭიროდ შეიქნა სტუდენტების უწესოების მოსასპობად სასწავლებლის დროებით დახურვა, ამ შემთხვევაში სწავლის დაკარგული დრო უნდა შეივსოს საკანიკულო დროით; მაგრამ თუ სწავლის შეწყვეტა გაგრძელდა უნივერსიტეტში 4 კვირამდის და სპეციალურს სასწავლებელში 3 კვირამდის, მაშინ სამოსწავლო წელიწადი გათავდება ჩვეულებრივს დროზედ, მხოლოდ II, III, IV და V-ე კურსების სტუდენტები დარჩებიან იმავე კურსზედ მომავალ წელშიც; პირველის კურსის სტუდენტები-კი, თუ წლის დამდეგს ყველა ახალის სტუდენტის მიღება 1-ლს კურსზე უადგილობისა გამო შეუძლებელი იქნება, დათხოვნილ იქნებიან და მათ ხელ-ახლად უნდა შემოიტანონ შემოსვლის თხოვნები; სტუდენტებს მიიღებენ ატესტატის მიხედვით: თუ რომელიმე ცალკე კურსი მოისურვებს (უნივერსიტეტში სწავლის შეწყვეტის დროს) სწავლის განგრძობას, მისთვის ლექციები აღდგენილი იქნება და ამ კურსის სტუდენტებს წელიწადი არ დაეკარგებათ.

— მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრების დადგენილების თანახმად ერობის გამგეობას უკვე წარუდგენია თხოვნა უმაღლეს მთავრობის წინაშე საერობო ორგანოს გამოცემის შესახებ.

უცხოეთი

ინგლისი. კემპბელ-ბანერმანის წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობის პროექტი საპარლამენტო რეგლამენტის შეცვლისა კომისიას გადაეცეს განსახილველად პალატამ უარ-ჰყო 250 ხმის უმრავლესობით 160 ხმის წინააღმდეგ. უმცირესობას შეადგენენ ლიბერალები, ირლანდიელნი და სამი კონსერვატორი. ამ საქმემ პალატაში ცხარე კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს, სხვათა შორის, გარკორტმა, დილლონმა, ბალფურმა და სხვებმა. უმრავლესობამ არ მოიწონა ის მუხლი პროექტისა, რომლის ძალითაც დროებით პალატიდგან დათხოვნილ დეპუტატს არ შეუძლიან დაბრუნება, ვიდრე ბოდიშს არ მოიხდის. დიდი ყურადღება მიიქცია კონსერვატორის გიბსონ ბოულსის სიტყვამ, რომელიც ძრიელა ჰკიცხავდა პროექტს. ჩემბერლენმა საპასუხოდ ისა სთქვა მხოლოდ, რომ ყოველმა ჯენტლმენმა ბოდიში უნდა მოიხადოს, როდესაც დამნაშავეაო. ამბობენ, მთავრობა თანახმაა ამოშალოს პროექტიდგან ის მუხლი, სადაც ბოდიშის მოხდაზედაა ლაპარაკი.

— სააგრარო აგიტაცია ირლანდიაში დღითი-დღე ძლიერდება. როსკომის საგრაფოში შეიარაღებულნი ირლანდიელნი ღამ-ღამობით იმ ფერმერებთან მოდიან თურმე, რომელთაც საიჯარო გადასახადი გადასცეს ლენდ-ლორდებს და ემუქრებიან, დაგხოცავთო. რამდენისამე დღის წინად სამას კაცისაგან შემდგარს ბრბოს განუზრახავს ლორდ დე-ფრეინის აგენტის მოკვლა. აგენტი ძლივ-ძლივობით გადაურჩენიათ. თითქმის ყოველ ღამე იმართება „შუაღამის მიტინგები", რომლებზედაც ცხარე სიტყვებს ამბობენ ლორდების წინააღმდეგ. ერთ ასეთ მიტინგზედ პარლამენტის წევრს ოდონნელს ამ სიტყვებით მიუმართავს ხალხისათვის: „მთავრობამ ირლანდიაში პოლიცია გააძლიერა და ამით საბრძოლველად გამოგვიწვია. თუ ასეა, ჩვენც მოვემზადნეთ. დეე, უინდგემმა მოამზადოს 5—10 ათასი ჯარისკაცი და ამ ჯარის წყალობით ეცადოს ჩვენს დამშვიდებას. სიტყვას გაძლევთ, რომ ერთისთვის შემდეგ ორჯელ ამაზედ მეტ ხალხს გავიყვანთ მთავრობის წინააღმდეგ". მთავრობას დიდად აფიქრებს და აღონებს ირლანდიელთა ასეთი თავ-გამოდება.

სამხრეთ-აფრიკის ომი. ამას წინად, როგორც ლონდონიდგან რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, კიტჩენერს კინაღამ ტყვედ წაუყვანია ბურთა გამოჩენილი მეომარი დევეტი. კიტჩენერს, გაუგია-რა ის ადგილი, სადაც დევეტი იყო, ოთხივ-კუთხივ ჯარი შემოურტყავს და ამ რიგად შუაში მოუმწყვდევია დევეტი თავისის ჯარით. ყოველ დღე ჯარისაგან შემდგარი რგოლი ვიწროვდებოდა და დევეტს უახლოვდებოდა. ღამე იქ, სადაც რაზმები იყო, თხრილებს ჰმართავდნენ და ეკლიან მავთულების ღობეს აკეთებდნენ. არც დევეტი იყო გულზედ ხელ-დაკრეფილი. შეუმჩნევია-რა უფრო სუსტი ადგილი, ერთ ღამეს დიდ-ძალი საქონელი გაურეკია წინ და ამ ადგილას ჯარისაგან გამართული რგოლი გაურღვევია და მავთულებიც მთლად დაუწყვეტნია. საქონელს თან გაჰყოლია დევეტი და რამდენიმე მებრძოლი. დევეტი გადარჩენილა, მაგრამ 300 იმისი მეომარი მაინც ტყვედ ჩაჰვარდნია ინგლისელებს. თვით ინგლისური გაზეთები დიდად შეაქებენ დევეტის სიმამაცეს და ამ უკანასკნელს ოინს. კიტჩენერს განუზრახავს ბოტასაც შემოერტყას ამ გვარადვე.

— ინგლისურივე გაზეთები სასაცილო ამბავს გადმოგვცემენ, რომელიც ინგლისის გენერალს მეტუენს შემთხვევია. მეტუენს გაუგია, რომ მახლობლად ბურთა რაზმიაო. შუაღამისას დიდ ძალის ჯარით წასულა ამ რაზმის დასამორჩილებლად. მოწინავე რაზმებს თვით მეტუენი მიუძღოდა თურმე. ერთის საათის შემდეგ მოწინავე რაზმები დაჰშორებიან სხვა ჯარს. სიბნელეში გზა აჰბნევიათ, ჰგონებიათ წინ მივდივართო, ნამდვილად-კი უკან დაბრუნებულან და თავიანთ ჩამორჩენილ ჯარს შეჰხვედრიან. რადგანაც ბურები ჰგონებიათ, დიდი სროლა აუტეხნიათ ორსავე მხრიდგან. ბოლოს გამორკვეულა ყველაფერი. დაჰრილი და დახოცილი ბევრი აღმოჩნდა თურმე.

გერმანია. პრუსიის მოხელეებს ხელ-ახლა სამართალში მიუციათ პოლონელი მოსწავლენი, 15—17 წლის ჰაბუკნი. ამ მოსწავლეებს იმპერატორის შეურაცხყოფა ჰბრალდებათ, ხოლო ეს შეურაცხყოფა იმითი გამოიხატა, რომ მოსწავლენი საჩუქრების დარიგების დროს არ ამდგარან, ბრძანების თანახმად და სხვა შეგირდებთან ერთად „ვაშა ვილჰელმს" არ უძახნიათ.

ოსმალეთი. ოსმალეთის ახალი ვეზირი, მხნე და პატიოსანი საიდ-ფაშაც მგონი ვერ ასცდება იმ ბედს, რასაც სხვა დიდი ვეზირები ეღირსნენ. ამას წინად დიდ ვეზირსა და საზღვაო მინისტრს ჰასან-ფაშას შეტაკება მოჰსვლიათ, რამაც კინაღამ დიდი ვეზირი არ იმსხვერპლა. ჰასან-ფაშა სულთანის საყვარელი კაცია. ამ მინისტრის წინააღმდეგ ვერც ერთი წინანდელი დიდი ვეზირი ვერა ჰბედავდა ხმის ამოღებას. დღემდე ჰასან-ფაშისათვის ანგარიში არავის მოუთხოვნია. ხაზინის ფულს-კი დიდ ძალსა ჰხარჯავდა და ხარჯავს დღესაც. სტამბოლში ამბობენ, ჰასან-ფაშას ძლიერება სულთანის ცრუმორწმუნეობით აიხსნებაო. რამდენისამე წლის წინად ვიღაც მკითხავს უთქვამს სულთანისათვის, დაიღუპები იმ დღეს, როდესაც ჰასან-ფაშას მოიშორებო. მას აქეთია სულთანი კანკალებს თურმე ჰასან-ფაშას წინაშე. როდესაც ხაზინაში ფული არ არის, სულთანი ჰასანს საკუთარ ჯიბიდგან აძლევს თურმე. ახალს დიდ ვეზირს საიდ-ფაშას განუზრახავს ჰასან-ფაშის ალაგმვა. მას ბრძანება გაუცია, რომ ვეზირის ნება-დაურთველად არავის მიეცეს ფული ხაზინიდგან. ჰასან-ფაშას, რამ-წამს ეს ამბავი გაუგია, იმ წამსვე ხაზინიდგან დიდ-ძალი ფული წაუღია. ვეზირს იილდიზში მიუმართავს საჩივრით, მაგრამ არაფერი გამოსულა. შემდეგ სულთანისათვის გადაუცია ვრცელი მოხსენება, რომელშიაც ამტკიცებდა თურმე, რომ 1898 წლიდგან ჰასან-ფაშას ხაზინიდგან 310.650,000 ფრანკი გაუტანია და არაფერზედ-კი არ მოუხმარებიაო. „მთელმა ოსმალეთმა იცისო,—სწერდა საიდ-ფაშა,---რომ საზღვაო მინისტრი პირველი ქურდია იმპერიაში. იციან აგრეთვე ის საცოდავი როლი, რომელსაც იგი ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს ასრულებდა". ამ მოხსენებას ძალიან გაუბრაზებია სულთანი; უეჭველად გადააყენებდა საიდ-ფაშას დიდ ვეზირობიდგან, ელჩებს რომ თავი არ გამოედოთ. ელჩებს დიდი იმედი აქვთ საიდ-ფაშასი, ამიტომ ბევრსა სცდილობენ სულთანის წინაშე იმის სასარგებლოდ.

ბოლგარია. როგორც დეპეშებიდგან უკვე

დიდებულ შვენიერებათა აღწერაში, არამედ პირ-წმინდად, სიტყვა-სიტყვით განმეორებული აქვს იგივე, რაც ალ. ჭავჭავაძეს. ეს მსგავსება პლაგიატს როდი ჰნიშნავს. უეჭველია, ორივე დიდის ნიჭისა და დაკვირვების მგოსანს ცალკ-ცალკე, დამოუკიდებლად შეუმჩნევიათ ეს სანახაობა და დამოუკიდებლადვე აღუწერიათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს დიდებული სანახაობა კავკასიის ბუნებისა პირველად ქაღალდზედ ალ. ჭავჭავაძემ, და არა გრ. ორბელიანმა გადაიტანა. აი, თვით ეს ლექსიც, ეს ობოლი მარგალიტი ჩვენის აღწერილობითის პოეზიისა.

„თხემის შეუპოვარის პონტოის ზვირთთ მიმერდობი
„და ტურფითა სალითა კასპიისა გამპობი,
„კავკასი, გოლიათი, წევს შორის ორთა ზღვათა,
„თვის შორის რე შემცველი დიდ საკვირველებათა.
„მას შინა სჩანს ბუნება საშინელათ და მშვენათ:
„ბეჭრდნი მისნი ძლიერნი, თოვლილნი შეუსვენათ,
„ქუხვით გადმომაქანნი მრისხანე მდინარეთა,
„ჰკრწყვენ და განაპოხებენ შორეულთა მათ ველთა.
„იგი ზურგი, მზიდველი მთებზედ შემდგარ მთებისა,
„ათასწლოვანთ თოვლთაგან ზვავად შენაკრებისა,
„ოდესმე რომელსამე მათ სპეტაკ ტვირთთაგანსა
„ცარდმოაგდებს ზვავებათ,—სცემენ ყურსა და თვალსა
„სრიალნი გასაშტერნი, სახენი განმაკრთობნი
„ყინულ-ლოდთა ბორცვები, „ერთმანეთის მასწრობნი,
„თოვლის მტვრისა სრქლისა აღმყვანელნი ცათამდე,
„ჰგორვენ-რა მით დახლტომით ღრმათ ღელეთ უფსკრულამდე.
„ვიდრემდის ჰბუქს ჰაერი მბერველ ქარიშხალებით,
„დღისა მცვალები ღამეთ მომცველ ნისლით შავებით,—
„დედა-მიწისა პირი წარდგნას ახალს განმცდელობს:
„აქ იგლიჯება გორა, მუნ ველი აღარ ველობს;
„ტყენი ძველთა ნაძვთანი გარდაქმნილან რიყებათ,
„წყალნი—ადგილათ მშრალათ, გზა-ვაკენი—კლდებათ.
„და კავკას მათ მთათ შორის მხოლოთ უცვალებელი,
„ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს, ვით დიდი მბრძანებელი.
„აქვსვე დღე მხიარული ოდეს კეთილ დარითა,—
„დახედს რა თოვლთა ზედა მზე შარავანდ წყნარითა,—
„ყინულნი ათას-ფერაშნი, წყალნი ფანტულ წინწკლებათ
„სხვა-და-სხვა ფერათ ბრწყინვენ ოქრო-ბრილიანტებათ.
„ყველა კაშკაშ ნავლოის ამ დიდ შვენიერებას
„იოტნიცა ბზინვითა უმატვენ მკობილებას.
„ყვავილნი საამონი, მომფენნი გვერდობთ გრილთა,
„სუნით, გემოთ იშვითნი მიიზიდვენ ნადირთა.
„მუნით ირემი ადვალს წიაღით ბნელის ტყეთა,
„განიშვებს უშიშარათ მომკვლელთ ხელთ შეხვედრისა;
„შტოვათ რქათა დამდრეკი მყუდროთ დამზერს დრუბელთა,
„მისთ ფერხთა ქვე მქუხარეთ და მეხისა მშობელთა.
„ირემზე უმკვირცხლესი ჯიხვი უმაღლეს კლდეს,
„რომლის რქანიც მწეობენ ხლიქის სიმტკიცეს, [3]
„თავ-ახმული შესცქერის მეინვარეს აყვალსა
„და, ვერ შემძლე მიწთომად, დმუილით ემდურს ძალსა...
„ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა
„ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა,—
„მთა, რეცა განგებ ზღუდეთ აღშენებული სალათ,
„დასაბამით სთვლისა ცნობილი შეუვალათ." [4]

როგორც თვით მკითხველიც რწმუნდება, ალ. ჭავჭავაძეს პირველს აღუწერია კავკასიის ბუნების სიდიადე, მრავალ-ნაირობა, ბევრ-გვარობა და სწრაფი ცვალებადობაც ტაროსისა და ჰავისა.

აქვე ვიტყვი ბარემ ორს სიტყვას ამ ლექსის ბოლო ტაეპის შესახებაც. ეს ტაეპი ზევით არ ამომიწერია, რადგან საჭირო არ იყო. ამოწერა ლექსისა იქ დავასრულე, სადაც სრულდება აღწერილობა ბუნებისა. ამ ლექსის ბოლოში ალ. ჭავჭავაძე მოგვითხრობს არაგვისა და თერგის ხეობაში გზა-ტკეცილის გაყვანას მამაცის ციციშვილის დროს, და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ამ გზა-ტკეცილის გაყვანის მეოხებით:

„ეშვათ ივერელთ სასოება,
„რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება".

წარსულის საუკუნის დასაწყისს ჩვენის ერის დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება და თვით-არსებობა მოისპო. მზრუნველად და მფარველად რუსეთი მივიჩნიეთ. ესვე იყო სურვილი და განზრახულება მხცოვანის ირაკლისა. ირაკლი ფიქრობდა, რომ ამით საქართველო დაუსხლტებოდა ხელიდან ისლამის გავლენას, განშორდებოდა ზედ-მოქმედებას წინა აზიისას და ივერია, ღვთის მშობლის კვლავ მმოსავ და ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელი, რუსეთის მეოხებით დაეწაფებოდა ევროპის განათლებასაც. ეს იყო საზრუნველი საგანი, გარდა იმ უმთავრესის მოთხოვნილებისა, რომ, რა-კი ძლიერ რუსეთს შეაფარებდა თავს, ჩვენი ერი ამით თავს დააღწევდა სპარსელთა და ოსმალთა მიერ გაცამტვერების განსაცდელს და სრულებით აღგვასაც დედა-მიწის პირისაგან. დიდის ისტორიულის აქტით—რუსეთთან შეერთებით—ირაკლის მტკიცედ სწამდა მიაღწევდა იმას, რომ ძლიერის რუსეთის დახმარებით გარეშე მოსეული მძლავრი მტერი და მოუსვენარი მეზობლები დაშინებული ეყოლებოდა შიგნით-კი, თვისს სამეფოში სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა მმართველ-გამგეობის მხრივ. რაკი მტრისგან მოსვენებული იქნებოდა, მერე შეიძლებდა მტკიცედ გადმონერგვას ევროპიულის განათლებისას და მოქალაქობრივობის დამყარებას. საჭიროდ არ მიმაჩნია მოვიყვანო დამამტკიცებელი საბუთები, რომ ირაკლის შეგნებული ჰქონდა ფასი და მნიშვნელობა ევროპიულის განათლებისა. ეს მკითხველმა უჩემოდაც კარგად იცის. მაგრამ ესე ყოველი ასე არ მოხდა და ზოგი სურვილი არ აუსრულდა... ხოლო ის-კი უეჭველია, რომ ამ ახალის ვითარების მეოხებით მთელს საქართველოში მყუდროება დამყარდა და გზა გაგვეხსნა გულმოდგინებით შევსდგომოდით მყუდრო მოქალაქობრივ ცხოვრებასა და შრომას. ჩვენი ერიც, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ-კი, ამ ახალის ვითარების შესაფერად ამოქმედდა. ეს ახალი ვითარება-კი ისეთის დიდის ფასისა და მნიშვნელობისა იყო, რომ იმ დროის მგოსანნი ამ მოვლენას არ ივიწყებენ და საზოგადოებას, ერს, ახალის წეს-წყობილებით აღშფოთებულს, ანუგეშებენ. მადლიანი გავლენა ამ ახალის წეს-წყობილებისა აქვს აღნიშნული ალ. ჭავჭავაძეს ზემოდ მოყვანილს ლექსში. მან პირველმა შეიგნო და ღირსეულადაც დააფასა ეს ვითარება და ესევე საზოგადოებასაც აუწყა. ამ ორგვარს მნიშვნელობას ახალის ვითარებისას აღნიშნავს გრ. ორბელიანიც, როცა იმპერატორ ნიკოლოოზ I-ზედ ამბობს თავისს „სადღეგრძელოში":

„მტრისა მძლეველსა,
„ჩვენსა მფარველსა,
„მარჯვენას შენსა განავრცობ ჩვენზე.
და ამიტომ ივერია „შენგან მთელის,
„რომ ლამპარს სწავლის
„კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა!" [5]

ნ. ბარათაშვილიც ამ ახალს ვითარებას შეურიგდა და საზოგადოება მით ანუგეშა, რომ „აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა", „შავის ზღვის ზვირთნი მოსისხლე მტერთა აღარ მოგვგვრიან და ამის ნაცვლად

„სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
„მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი" [6].

ეს დიდი მნიშვნელობა ახალის ცხოვრებისა კიდეც შეიგნო ქართველობამ და იგი მართლაც ჩაერია მოქალაქობრიობის ფერხულში, შეუდგა მრეწველობასა და მეურნეობას, დაეწაფა ევროპიულს განათლებას და იდეალად მყუდრო, მშვიდი ცხოვრება დაისახა. მთელი ქართველობა თვის სახალხო პოეტთან ერთად გულწრფელად აღიარებს, რომ

„ომისა, ვაჟკაცობის გაგრილდა ჩემში ჟინიაო [7]).
და „ომი არ მიყვარს, სისხლი არა მწყურს,
„მიყვარს სიტურფე მშვიდი და მდორეო" [8]).

აი, ასე ერთის აზრისა და შეხედულებისაა იმ დიდის მოვლენის შესახებ ჩვენი სამი დიდი მგოსანი. ეს ერთსულობა და ერთგვარი აზრი იმათი დიდის ფიქრის აღმძვრელია...

—

ალ. ჭავჭავაძის ენა მშვენიერი ქართული ენაა. მოქნილი და გამომეტყველი, მკვირცხლი და ნაზად მონარნარე. ეს ენა ღრმა შთაბეჭდილებას აწარმოებს მკითხველზე. ყოველის გრძნობის, ყოველგვარის აზრისა და ფიქრის მთლიანად, უნაკლულოდ და ზედ-გამოჭრილად გამომთქმელია იგი ენა. აქ ამ ენის შვენიერებისა და ლაზათის შესახებ ბევრი ლაპარაკი როდია საჭირო, რადგან მკითხველი თვით დარწმუნდება იმ ნიმუშებით, რომელიც ზევით საკმაოდ მოვიყვანე.

ი. ფანცხავა.

---

[3] ეს სურათი გრ. ორბელიანს პირწმინდათ განმეორებული აქვს იხ. ლექსები გრ. ორბელიანისა გვ. 67

[4] იხ. ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძისა გვ. 86.

[5] იხ. ლექსები გრ. ორბელიანისა, გვ. 65—36.

[6] იხ. ლექსები ნ. ბარათაშვილისა, გვ. 60.

[7] იხ. ლექსები რ. ერისთავისა, გვ. 10.

[8] ib. გვ. 164.

უწყიან მკითხველებმა, ერთმა მასწავლებელმა, სულით ავადმყოფმა, მოჰკლა ბოლგარიის საერო განათლების მინისტრი კანჩევი. „Temps“-ის სოფიელი კორესპონდენტი შემდეგს გადმოგვცემს ამ მინისტრის შესახებ. კანჩევი 40 წლის კაცი იყო. განათლება მან გერმანიაში მიიღო, მიუნჰენსა და შტუტგარტში. პირველ ხანს მასწავლებლად იყო სალონიკში, შემდეგ სასკოლო ინსპექტორად მაკედონიაში. კანჩევმა დიდი თხზულება დაჰბეჭდა მაკედონიის შესახებ. საპოლიტიკო ასპარეზზედ კანჩევი მხოლოდ ამ ბოლოს დროს გამოვიდა. იგი პირველად კარაველოვის მინისტრობის დროს საერო კრების ვიცე-პრეზიდენტად იქმნა არჩეული, ხოლო ამა წლის ოთხ იანვარს მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა საერო განათლების მინისტრად მიიწვია. კორესპონდენტის სიტყვით, კანჩევი მხნე და მშრომელი კაცი იყო.

ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკელნი ძალიან სცდილობენ ბურების სასარგებლოდ. დიდი მოძრაობაა ამ ჟამად ამერიკაში. აუარებელი მიტინგები იმართება, რომლებზედაც ცხარე სიტყვებს ამბობენ ინგლისის წინააღმდეგ, პეტიციებს ადგენენ, ფულს ჰკრეფენ და სხვა. ერთმა კომიტეტმა ფილადელფიაში ბურების სასარგებლო პეტიციაზედ 10 მილიონ კაცს მოაწერინა ხელი. აუარებელმა ხალხმა მოაწერა ხელი პეტიციებს აგრეთვე ჩიკაგოსა, ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსეიში. პეტიციებს ამ ქალაქის დეპუტაციები გადასცემენ რუზველტსა და კონგრესს. მანამდე მარტში დიდი მიტინგი გაიმართება, რომელშიაც ამერიკის ყველა კუთხის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

ჩინეთი. ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ შეერთებულის შტატების რესპუბლიკაც, ინგლისსა და იაპონიასთან ერთად, დიდი წინააღმდეგია რუსეთსა და ჩინეთს შორის დადებულ მანჯურიის ხელშეკრულობისა. „გარეშე საქმეთა სამინისტრომ, სწერენ რეიტის სააგენტოს ვაშინგტონიდგან, გააგებინა რუსეთს, რომ შტატების რესპუბლიკა ხელს არ იღებს იმ ვაჭრობა-მრეწველობაზედ, რომლითაც დღემდე მანჯურიაში სარგებლობდა. იაპონია, ინგლისი და შტატები სცდილობენ მანჯურიაც ისევე იყოს ყველასათვის ღია, როგორც დანარჩენი ჩინეთიო.“

თეატრი

წარსულს კვირაში ქართულმა დრამატიულმა დასმა სამი წარმოდგენა გამართა: ხუთშაბათს, 31 იანვარს, ბ-ნ ს. სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოადგინა ზუდერმანის ცნობილი პიესა „სოდომის წარღვნა“ და შაბათს, 2 თებერვალს, გოგოლის სადამოდ გამართა, რომლის დროსაც წარმოადგინეს „რევიზორი“ და კვირას კიდევ, მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით,— „ავადმყოფნი“ და ,,პედაგოგნი“.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა არტისტებმა სულ ვერ დასძლიეს ზუდერმანის შესანიშნავი პიესა ,,სოდომის წარღვნა“. პიესა საშინლად შეკვეცილი იყო, მომზადება არ ეტყობოდა. ყველაზედ სუსტი მობენეფისე იყო, რომელიც ვილლის როლს ასრულებდა. მშვენიერი იყო ქ-ნი ლეჟავა კლერხენ ფრელიხის როლში. ეს როლი ისე უნაკლულოდ ჩაატარა ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა, რომ აღტაცებაში მოგვიყვანა. კარგი იყო ქ-ნი ანასტასია აბაშიძეც კიტტის როლში. არა უშავდათ რა-ბ-ნს გუნიას კრამერისა და ქ-ნს გარკარეთელს—ადდას როლში.

სამწუხაროდ, უადგილობის გამო იძულებული ვართ ამ მშვენიერს პიესას მოკლედ შევეხოთ. წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო. მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

ბევრად უკეთ ჩაიარა შაბათის წარმოდგენამ— ,,რევიზორმა“. არტისტები ყველანი რიგიანად იყვნენ მომზადებულნი და თავიანთ როლებს კარგად ასრულებდნენ. მოხდენილად ჩაატარეს როლები უფრო ვ. აბაშიძემ და შათირიშვილმა, სხვებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. წარმოდგენის შემდეგ გოგოლის ხსოვნის პატივსაცემად აპოთეოზი გაიმართა.

სახალხო თეატრი ტფილისში.

სცენის მოყვარეთაგან 2 თებერვალს წარმოდგენილი იყო „არსენა“ სამ-მოქმედ. დრამა ყაზბეგისა. თუმცა შინაარსი ამ პიესისა ძველის დროიდგან არის აღებული, მაგრამ ღარიბ-დაჩაგრულთა მოსარჩლე არსენა ღვიძლი შვილია ხალხისა, ბევრს მისს კარგს თვისებას ატარებს და იმისთვის მისის ცხოვრების გმირობის მოგონება ხალხს მუდამ ასიამოვნებს და აღუძრავს კეთილშობილურს გრძნობებს. ამისათვის, რომ შაბათს ხალხი ასეთის აღტაცებით მიეგება პიესას. თვით პიესაც ჩინებულად იყო წარმოდგენილი, ზოგიერთს წვრილმან ნაკლულევანებას თუ არ ვიანგარიშებთ. ისე მწყობრად, რიგზედ მიდიოდა მთელი პიესა, რომ ზოგჯერ დიდს თეატრშიაც ასეთს რიგს ვერ ვხედავთ ხოლმე. ეს გარემოება რეჟისორის მეცადინეობით და შრომით აიხსნება. კერძოდ გ. ანანიაშვილმა კარგად შეასრულა არსენას როლი. მიხვრა-მოხვრა კარგი ჰქონდა, მხოლოდ კილო გამოთქმისა არსენას კილოს ვერ შეეფერებოდა. გამოთქმა უფრო ინტელიგენტური იყო (თუ შეიძლება ასე ითქვას), ვიდრე გლეხური. გარსევან ამაყაძის როლი უნაკლულოდ, ჩინებულად შეასრულა ბ-ნმა ედიშვილმა. არც ერთხელ არ უღალატნია ამ როლისათვის და თვალ-წინ ცოცხლად გედგათ სასტიკი მებატონე ამაყაძე შეუდარებელი იყო ბ. გოცირიძე სირაჯის როლში. ეს სცენის მოყვარული სახალხო თეატრის დამამშვენებელია და თამამადაც შეეძლება დიდს თეატრშიაც ისევე დაატკბოს საზოგადოება ბუნებრივის—და ნიჭიერის თამაშით, როგორც ეხლა სახალხო თეატრში მოსიარულეთ ატკბობს.

კარგები იყვნენ აგრეთვე ს. ღომაური სიდონიას როლში, კ. ჯაბაურისა ნინოს (მოახლის) როლში და გომართელი ნათლიმამა პეტრეს როლში. დანარჩენები წარმოდგენის ანსამბლის მთლიანობას ხელს უწყობდნენ.

ანტრაქტებში უკრავდა ზურნა და ელისაშვილის ხორო გალობდა ქართულს სიმღერებს. კარგს იზამენ სექციის წევრნი, თუ ზურნას სრულიად მოაშორებენ სახალხო თეატრს და მარტო სიმღერები იქნება, რადგან მისი ყურის მგდებელი არავინ არის და სიმღერებს კი მუდამ სიამოვნებით ისმენენ. მაშინ ხარჯიც შემცირდება. აგრეთვე კარგი იქნება, თუ ფეხზედ მდგომთ ცოტას შეუშვებენ თეატრში, თორემ იმდენი ხალხი დგას ზეზედ, რომ გასავლელი გზა აღარ რჩება და სხვებსაც უშლიან ყურის გდებას. თუმცა ბევრის შემოშვება თეატრში მოწესრიგეთ კეთილის გულით მოსდით, რათა ბევრს ჰქონდეს საშუალება წარმოდგენაზედ დასწრებისა, მაგრამ ამ კეთილს განზრახვას ის ვნება მოაქვს, რომ ყველა თეატრში მყოფი სწუხდება, კარგად ვერ ისმენს პიესას, ვერ ითვისებს მისს შინაარს და მაშინ ხომ თვით წარმოდგენასაც თვისი დანიშნულება ეკარგება. უფრო სჯობს, ცოტა დაესწროს და კარგად-კი მოისმინონ ვიდრე ბევრი და არც ერთმა-კი ვერა გაიგოს-რა.

საზოგადოდ უნდა ითქვას. რომ ამ სეზონში რეპერტუარიც შესაფერი იყო ამორჩეული და პიესებიც კარგად იყო ნათამაშები, რაიცა დიდად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის. დღითი-დღე სახალხო თეატრს წარმატება ეტყობა.

რაც შეეხება კვირის წარმოდგენას, იგი ერთ უკეთეს წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს მთელს სეზონში. ითამაშეს ორი პიესა: „ავადმყოფი ხალხი“ და „პედაგოგები“, ორივე მეორედ ამ სეზონში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაყურებელნი მეტად ნასიამოვნებნი დარჩნენ. ბ-ნის მესხიშვილის დახვეწებული, ფსიხოლოგიური თამაში, თუ შეიძლება ასრე ვსთქვათ, ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე და იმდენად დამაინტერესებელი და ჩამაფიქრებელია იგი, რომ გინდათ დიდხანს უცქიროთ, ჩაუკვირდეთ არტისტს.

ბ-ნი ყიფიანი კარგი იყო, როგორც ეს შეჰფერის მისს ნიჭს. ეს იშვიათი არტისტია ჩვენს სცენაზე, რომელიც ჰქმნის ტიპებს და მის მიერ დახატული პირი რჩება თქვენს გონებაში სამუდამოდ, წაუშლელად. მოვიგონოთ სიმონ ღლონტი, ოტია ჯოლია, მეფე ლირი, შეილოკი. სასურველია, რომ ამ არტისტს უფრო ხშირად ვხედავდეთ ქართულს სცენაზე.

ანსამბლს ხელს უწყობდნენ ბ. გუნია და ქ. ლეჟავა. ცოტად სუსტობდნენ ქ. ნებიერიძისა, გაბუნია-ცაგარლისა. მდივანი მოუმზადებლად თამაშობდა როლს და არა გვეთქმის-რა.

მეორე პიესა—„პედაგოგები“ უფრო მწყობრად და უნაკლულოდ შეასრულეს ჩვენმა არტისტებმა ყველანი საუცხოვოდ იყვნენ მორთულნი, ყველას შესაფერი როლი ჰქონდა. არტისტებს შეეგნოთ და შეესისხლხორცებინათ ის, რასაც თამაშობდნენ. სცენაზე ცხოვრება იყო და არა თამაშობა.

წერილი რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე გახლებთ ქართ. შორის წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების გადასაცემად სამს მანეთს და ერთს აბაზს, რომელიც შეკრებილია ჭრელი ლაპარაკის გამო.

ანა მერკვილაძისა.

მოხსენებული 3 მ. და 20 კ. რედაქციამ უკვე გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

რედ.

II

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო მოზდოკის მოვაჭრეს ბ-ნს გიორგი გუდუშაურს, რომელმაც შემოსწირა „სხო“-ს უფასო სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკას ჟურნალი „მოამბე“ 1900 წლის 12 წიგნი.

სამკითხველოს გამგეობის წევრი
ეფროსინე ბაკურაძე.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

4 თებერვალი

პეტერბურგი. გუშინ, 2 თებერვალს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაცია გაბედნიერებულ იქმნა და სადილად მიწვეულ საზამთრო სასახლეში. ხელმწიფე იმპერატორი დაბრძანდა შუა ადგილას ხელმწიფე იმპერატრიცებ შორის. ხელმწიფის პირდაპირ იჯდა კარის მინისტრი, მარჯვნივ თავადი მელიქიშვილი, ხოლო მარცხნივ გენერალი საგინაშვილი. დეპუტაციის გარდა, ღირსნი შეიქმნენ მიწვევისა შინაგან საქმეთა მინისტრი, ობერ-გოფმარშალი, ობერ-ცერემონმეისტერი, გოფმეისტერის მეუღლე, ხელმწიფე იმპერატრიცას ამალის სეფე-ქალნი და მორიგე ამალა ხელმწიფისა. სადილად ბრძანდებოდნენ აგრეთვე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უავგუსტოესის შვილებითურთ, დიდნი მთავრინანი მარიამ გიორგის ასული და ქსენია ალექსანდრეს ასული. სადილი მომზადებული იყო სულ 47 კაცისათვის. შუა სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება ფეხზედ წამოდგომა და წარმოსთქვა შემდეგი მრავალ-მოწყალე სიტყვები: „ბედნიერი ვარ, რომ ერთხელ კიდევ სალამს გაძლევთ თქვენ ამ ჩემს სასახლეში მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატრიცათა და კერძოდ ჩემის სახელით. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და ვისურვებ ჩვენთვის ძვირფას ქართველ თავად-აზნაურობის წარმატებას. სადღეგრძელოს მოჰყვა მრავალ-ჟამიერი, რომელიც დაუკრა ორკესტრმა. მრავალ-ჟამიერის მოსმენა ხელმწიფემ ინება და ფეხზედ დგომით მოისმინა. სადილს უკან ხელმწიფემ და მათ უდიდებულესობათ ინებეს მოწყალედ და ხანგრძლივ მუსაიფი დეპუტაციის ყოველ თითოეულ წევრთან.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის საბჭოს დარბაზში შესდგა პირველი სხდომა სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამომკვლევ რჩევისა ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით.

ასტრახანი. ხელოსანთა ამქრები არტელებად დგებიან, პირველი არტელი შეადგინეს ლითონთა მწარმოებლებმა. საწევრო შესატანი ასი მანეთია.

მოსკოვი. ნიკოლაევის რკინის გზაზე პოდსოლნეჩნის სადგურზე მეისრემ გადაიყვანა მოსკოვში მიმავალი ჩქარი მატარებელი სათადარიგო გზაზე, რომელზედაც იდგა ბარგის მატარებელი; რამდენსამე საჟენზე მაშინისტმა შეაჩერა ჩქარი მატარებელი, რომელიც სრულის ტარებით მიჰყავდა.

ოდესა. ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტი უნივერსიტეტისა თხოულობს სახალხო განათლების სამინისტროსაგან, რომ ოდესაში ბიოლოგიური სადგური გაიმართოს მცირე ფანტანზე, ზღვის პირად.

ბერლინი. სინდიკატმა იკისრა გერმანიის საერო ბანკის მეთაურობით უსასყიდლოდ გამოსცეს მოსკოვის 8 მილიონის საქალაქო 4% სესხი. გასანაღდებელი კუპონები და ობლიგაციები უნდა განაღდებულ იქმნას საზღვარგარეთ 216 მარკის, ანუ 128 ჰოლლანდიურ გულდენის, ანუ 268,68 ფრანკის ანგარიშით ასი მანეთი.

4 თებერვალი.

პეტერბურგი. 2 თებერვალს საზამთრო სასახლის საკონცერტო ზალაში გამართულ იქმნა სადილი ქართველთა დეპუტაციისათვის. უმაღლესი სუფრა დამზადებული იყო 46 კაცისათვის. შუა ადგილი დაიკავა მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ. მის მარჯვნით და მარცხნით ისხდნენ ხელმწიფე იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული. სუფრა მორთული იყო ყვავილებით. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა ხელში აიღო ბაკალი და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: ,,ბედნიერი ვარ, რომ ერთხელ კიდევ სალამს გაძლევთ თქვენ ამ ჩემს სასახლეში: მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატრიცების და კერძოდ ჩემის სახელით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და ვისურვებ წარმატებას ჩვენის ძვირფასის ქართველ თავად-აზნაურობისათვის“. მისი უდიდებულესობის სიტყვების შემდეგ სასახლის ორკესტრმა შეასრულა ქართული ეროვნული სიმღერა. სადილის შემდეგ მათი უდიდებულესობათ ჩამოუარეს ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელთ და მოწყალეთ ესაუბრეს მათ სათითაოდ.

2 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული, ალექსანდრა ფეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრები და მთავრინები დაესწრნენ ბარინსკი თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენას, რუსეთის სათეატრო საზოგადოების სასარგებლოდ გამართულს.

1 თებერვალს ხელმწიფე იმპერატრის წინაშე წარსდგა გეოგრაფიულის საზოგადოების ტიბეტის ექსპედიცია.

ბაქო. უკანასკნელის ცნობებიდგან სჩანს, რომ ქვემო და შუა ნაწილი შემახისა სრულად გაუსწორდა მიწას; სრულიად დაზიანდნენ მაჰმადიანი მკვიდრნი. დაქცეულის ქალაქის და მისი მსვერპლების სურათის აღწერა შეუძლებელია. დაზარალდნენ ახლო სოფლებიც. მიწის ძვრა ეხლაც არ შეწყვეტილა. ბაქოში ტაღიევის თავმჯდომარეობით დაარსებული კომიტეტმა გაგზავნა შემახაში ხუთი ათასი მან. ფულად, ჩაი, შაქარი, პური, ექიმები და ფერშლები ჭრილობათა შესაკრავ ნიქთებით. ბუხარის ემირმა შემოსწირა დაზარალებულთ 3 ათ. მან. „კასპიის“ რედაქციამ გაგზავნა თავის ხარჯით თავისი თანამშრომელი და ერთი ექიმი გაჭირვებულთა და სახმარებლად და შემოწირულობათა მოსაგროვებლად.

ბაქო. ჩამოვიდა ბუხარის ემირი და პეტებურგში მიემგზავრება. კავკასიის მთავარ-მმართებელმა ნება დართო, რათა მიღებულ იქმნას შემოწირულობანი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

სარატოვი. გლეხების განთავისუფლებიდგან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად ქალაქის კომისიამ გადასწყვიტა სახალხო სახლის აშენება.

კიევი. აქ ჩამოვიდა საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზენგერი.

ლოძი. აქ ჩამოსულნი ჩეხიის სავაჭრო ფირმების წარმომადგენელნი პირობებით შეეკრნენ იქაურს დიდს ფიქრებს.

ხარკოვი. გათავდა პავლოვსკის სექტანტების საქმე.

ეკატერინბურგი. ჩელიაბინსკის და ბიშკილის შუა მატარებელი გადმოვიდა ლიანდაგიდგან; დაიმსხვრა 15 ვაგონი; მაშინისტს ფეხი მოსტყდა.

მოსკოვი. გენერალ-გუბერნატორს ბალი ჰქონდა გამართული; დაპატიჟებული იყო 1200 კაცი.

ბაქო. შემახაში გაჰგზავნეს საპერები და მსროლელთა ბატალიონი 200 კარვით. ყველანი სახლების გარედ არიან დაბინავებულნი. როგორც ჰფიქრობენ, ნანგრევების ქვეშ დალუპულია 2000-მდე მაჰმადიანი ქალი და ბავშვი. სოფ. მარაზის ახლოს გაჩნდა ვულკანი. მდინარე გოქჩაიკა გაკავდა და კალაპოტი გამოიცვალა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში მარკაში 100	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
არიჟში „	$37,62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^{1}/_{8}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% 1-ლი შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$472^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$379^{1}/_{2}$ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყიდ. (?)
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^{1}/_{4}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „	9,800 წვ. გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	165 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 [illegible] 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ეროვნული

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს., 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

ტყის უფროსის თანაშემწე

(Пом. Лѣсничь.) რომელსაც, სპეციალურ ცოდნის გარდა, აქვს 12 წლის პრაქტიკა ტყეების და მამულების მოვლა-გამგეობისა და აგრეთვე მისი მეუღლე, გიმნაზია დამთავრებული მასწავლებელი ქალი, ეძებენ შესაფერ ადგილს კერძო მემამულეებთან ადგილობრივ ან პროვინციაში. ადრესი ,,ივერიის“ რედაქცია.

(3—288—1)

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
ამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „

ყოვლად საყურადღებო განცხადება

ახლად გაღებულ მ. ა. ქანდაროვისაგან მექანიკურ-ორთქლით პურის-საცხობში (რომელიც იმყოფება მე-10 ნაწ., ელისაბედ.ს და ბატარეის ქუჩების კუთხეში) შეიძლება დაკვეთა კარგად გამომცხვარ ყოველგვარ ღირსების პურისა, მხოლოდ არა ნაკლებ ნახევარ ფუთისა, ფასად ქალაქის ნიხრზედ ერთ აბაზ ნაკლებ ფუთი: პირველ ხარისხისა 1 მან. და 40 კაპ.; მეორე—1 მან. 20 კაპ.; მესამე—1 მან.; პეკლევანისა (ანუ ყუათიანი) და არქანოვისა—90 კაპ.

(5—272—3)

Дозвол. цензурою. Тифлисъ 3-го Января 1902 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ქვ. ხელაძის სტამბა ლორ-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი ჭავჭავაძე